ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

მწვანე კავკასია
Green Caucasus

# პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების შესაძლებლობების გაზრდა ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის საარჩევნო ოლქებში

დონორი: საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

გიორგი აბულაძე,
ა/ო მწვანე კავკასია-ს თავმჯდომარე

2017

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

მწვანე კავკასია
Green Caucasus

**პროექტის მიზანი:**

2017 წლის ადგილობრივი არჩევნების კონკურენტულ გარემოში, ღიად და სამართლიანად ჩატარების ხელშეწყობა

**პროექტის ამოცანა:**

ადგილობრივ არჩევნებში ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის საარჩევნო ოლქებში მოქმედი პოლიტიკური პარტიების კვალიფიციური მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდა

**პროექტის განხორციელების პერიოდი:**

2017 წლის მაისი-ივლისი

- ტრენინგები ჩატარდა ქ.თელავში, სასტუმრო „ალაზნის ველის“ საკონფერენციო დარბაზში
- ჩატარდა 4-დღიანი ტრენინგების ექვსი ციკლი, რომელიც დაიგეგმა 21 პოლიტიკური პარტიის 108 წარმომადგენლისათვის
- ტრენერები: კონსტანტინე კანდელაკი, თამარ გეგეშიძე, მამუკა აბულაძე, ასევე, სწავლების ცენტრიდან - გია ცაცაშვილი
- ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 20 პარტიის

(მ.შ. 14 კვალიფიციურის და 6 არაკვალიფიციურის)

91-მა წარმომადგენელმა (მ.შ. 37 მამაკაცი და 54 ქალი)

## ტრენინგების თემატიკა:

დღე I

- კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და ანგარიშვალდებულება
- კონფლიქტების მართვა და საარჩევნო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო სტანდარტები

დღე II

- ადგილობრივი თვითმმართველობის არსი, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა საქართველოში
- ჩართული მხარეების საარჩევნო რეგისტრაცია, მათი უფლება-მოვალეობები საარჩევნო პროცესში
- საარჩევნო ეთიკა, ეთიკის კოდექსი
- ინკლუზიური არჩევნები, მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის მნიშვნელობა

დღე III (საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის კონტრიბუცია)

- საარჩევნო ციკლი. საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელი და უფლებამოსილებები
- კენჭისყრის დღე. კენჭისყრის პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები და პროცედურები. საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციები. არჩევნების საანდოობა და უსაფრთხოება

დღე IV

- საარჩევნო სისტემები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის მოქმედი საარჩევნო სისტემა საქართველოში
- არჩევნების საერთაშორისო სტანდარტები. წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის წარმოება და შეზღუდვები.

## პროექტის შედეგები:

- გაიზარდა ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის საარჩევნო ოლქებში პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების ცოდნა საარჩევნო საკითხებში

- ტრენინგების მონაწილეებმა მიიღეს ცოდნა ადგილობრივი თვითმმართველობის არსისა და საარჩევნო სისტემის შესახებ, განიხილეს საქართველოს საარჩევნო კოდექსის ნორმები, გაეცნენ საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებასა და მუშაობის წესებს, სუბიექტების (პარტიების, კანდიდატების) არჩევნებში მონაწილეობის პრინციპებს, წინასაარჩევნო კამპანიის წესებსა და ეთიკის ნორმებს, შეისწავლეს და გააანალიზეს კენჭისყრის პროცედურები, საარჩევნო დარღვევების გამოვლენისა და მათი გასაჩივრების წესები, გაეცნენ უცხოურ გამოცდილებას

- ტრენინგის მონაწილეებმა მიიღეს თეორიული ცოდნა და შეიძინეს გუნდის წევრებთან მუშაობისა და კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარები, რაც ასევე დაეხმარება მათ, სწორად მართონ სამუშაო პროცესი და კომუნიკაცია

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

მწვანე კავკასია
Green Caucasus





